შპს აგრომეტი

22 ოქტომბერი, 2018 წელი

ქალაქ თბილისის მერიის

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

თქვენი 2018 წლის N4222222 გადაწყვეტილების საფუძველზე დანართი 1-ის და დანართი 2 -ის სახით წარმოგიდგენთ შპს აგრომეტის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულ ხელშეკრულებას, რომელიც ამ ეტაპზე ფიქსირდება ვალდებულებით გრაფაში.

როგორც ჩვენს მიერ 2018 წლის 15 ოქტომბრის გამოგზავნილი წერილით გაცნობეთ, აღნიშული ვალდებულება არის მხოლოდ 2012 წლის 24 თებერვალს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1.2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება, რის თანახმადაც შპს აგრომეტი ვალდებულია მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე, ს.კ 01.72.14.006.538 (ამ ეტაპზე აღნიშნული საკადასტრო კოდი დაყოფილია 6 საკადასტრო კოდად ფართის უცვლელად) გამოიყენოს ძირითადად სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებით ხელშეკრულების გაფორმებიდან 96 თვის განმავლობაში (იხ. დანართი 1.).

თამთა ოტიაშვილი

დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/ნ 404893727
დავით აღმაშენებლის ხეივანი №240, თბილისი, საქართველო
ტელ: +99577 222446

ნასყიდობის ხელშეკრულება დანართი 4.

თბილისი 24 თებერვალი 2012 წელი

ერთი მხრივ, **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**, (შემდგომში „გამყიდველი"), წარმოდგენილი პრივატიზების დეპარტამენტის, პრივატიზების ორგანიზების სამმართველოს უფროსი სპეციალისტის **იზოლდა მარსაგიშვილის** (პირადი №44001000687) მიერ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 3 იანვრის №06/40 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,

და მეორე მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – **"საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი"** (საიდენთიფიკაციო კოდი №211325653) (შემდგომში „მყიდველი") წარმოდგენილი რექტორის **ლაშა გოცირიძის** (პირადი №01024009776) მიერ,

„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის №1-1/1537 ბრძანებისა და "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „შპს "აგრომეტი"-ს 100%-იანი წილის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის №15/02/03 განკარგულების საფუძველზე, წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას (შემდგომში „**ხელშეკრულება**") ვაფორმებთ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად, „გამყიდველი" გადასცემს, ხოლო „მყიდველი" იღებს საკუთრებაში შპს "აგრომეტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №404893727) 100%-იან წილს (შემდგომში "ქონება") პირდაპირი მიყიდვის ფორმით.

მუხლი 2. საპრივატიზებო შემოსულობა და მისი გადახდის წესი

2.1 „მყიდველი" ვალდებულია გადაიხადოს საპრივატიზებო შემოსულობა 4 000 000 (ოთხი მილიონი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით, ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში, შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა) ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) თვის განმავლობაში - 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 8 (რვა) თვის განმავლობაში - 1 250 000 (ერთი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 (თექვსმეტი) თვის განმავლობაში - 1 250 000 (ერთი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

დ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში - 1 250 000 (ერთი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

და ამაგე ვადებში წარმოუდგინოს გამყიდველს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

2.2 საპრივატიზებო შემოსულობის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის გამყიდველის მიერ მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

სალარე ანგარიში
ხაზინის ერთიანი ანგარიშის სხვა შემოსულობები (ცენტრალიზებული) №200122900
მიმღები ბანკი – სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: №220101222
სახაზინო კოდი: №302003363

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1 მყიდველი კისრულობს:

3.1.1 გადაიხადოს „ქონების“ საპრივატიზებო შემოსულობა და წარმოუდგინოს გამყიდველს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით დადგენილი პირობების შესაბამისად;

3.1.2 გამოიყენოს შპს "აგრომეტი"-ს საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ჩიხ-12 კმ.-ზე მდებარე 599438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.006.538), საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის №15/02/03 განკარგულების გამოცემამდე არსებული სასწავლო ინფრასტრუქტურა ძირითადად სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებით წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 96 (ოთხმოცდათექვსმეტი) თვის განმავლობაში.

3.1.3 განახორციელოს შპს "აგრომეტი"-ს საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ჩიხ-12 კმ.-ზე მდებარე 599438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.006.538) 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ინვესტიცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში.

3.1.4 განახორციელოს შპს "აგრომეტი"-ს საკუთრებაში არსებული გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვაზისუბანში მდებარე 305389 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე №1-ზე (საერთო ფართობით 589.40 კვ.მ.) (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №51.05.66.003) 400 000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში.

3.1.5 განახორციელოს შპს "აგრომეტი"-ს საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე 69403 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №81.02.03.478) 800 000 (რვაასი ათასი) ლარის ინვესტიცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 (თვრამეტი) თვის განმავლობაში.

3.1.6 ჩარიცხოს 2012 წლის 1 აპრილამდე საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ის ანგარიშზე 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი და ამაკე გადაში წარმოუდგინოს გამყიდველს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.1.7 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3, 3.1.4 3.1.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების დადასტურების მიზნით, გამყიდველს წარუდგინოს "საკვალიფიკაციო და აუდიტორული დასკვნების გაცემ პირთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის №1064 განკარგულებით განსაზღვრული ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა;

3.1.8. დაარეგისტრიროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათ შორის საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულება;

3.1.9 დაფაროს სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და „ქონების“ რეგისტრაციის ხარჯი. დაფაროს ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული სანოტარო ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

3.1.10 მყიდველი ვალდებულია მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობის შემცირების შემთხვევაში 1 თვის

ვადაში ძალაში იყო მის სრულ ოდენობამდე.

3.2 "გამყიდველი" ვალდებულია მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გასცეს ვალდებულების სრულად ან მისი ნაწილის შესრულების წერილობითი დადასტურება, რომელიც შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში ვალდებულების გაუქმების ან მასში ცვლილების რეგისტრაციის საფუძველია.

3.3 მხარეებს უფლება აქვთ, მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, სრულად და დროულად შესრულება.

მუხლი 4. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

4.1 „მყიდველს" საკუთრების უფლება გადაეცემა ხელშეკრულების ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციის მოძენტიდან. ამასთან, მყიდველი ვალდებულია სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში"დაარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

4.2 მყიდველს „ქონება" გადაეცემა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.

4.3 ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება „გამყიდველის" მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

4.4 თუ მყიდველი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ წარმოადგენს საპრივატიზებო საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, მყიდველისათვის საპრივატიზებო საფასურის გადახდისათვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, გამყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" უქმდება წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი მყიდველის საკუთრების უფლება და ქონება რეგისტრირდება სახელმწიფო საკუთრებად.

4.5 "გამყიდველის" თანხმობის გარეშე „მყიდველს" „ქონების" საპრივატიზებო საფასურის გადახდამდე არ აქვს უფლება გადაცემული "ქონება" გაასხვისოს, განკარგოს ან სხვაგვარად დაჩვირთოს.

4.6 „გამყიდველის" მიერ „მყიდველზე" საპრივატიზებო საფასურის სრულად გადახდიდან, ხელშეკრულების ძალქმედების პერიოდში „მყიდველის" მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, "მყიდველი" ვალდებულია ქონება ახალ შესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო გამყიდველსა და მას შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს.

4.7 „ქონების" ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში ახალი მესაკუთრე „მყიდველთან" ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების შემძენი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც ძალითობა დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა.

5.2 პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

5.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტში და 3.1.6 ქვეპუნქტში განსაზღვრული საპრივატიზებო საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე;

5.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3, 3.1.4 და 3.1.5 ქვეპუნქტებით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობისათვის "გამყიდველი" "მყიდველს" გადასცემს დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მითითება დარღვევის

გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.2.3 ხელშეკრულების 3.1.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის ალმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.2.4. ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს გადასცემს დარღვევის ხასიათის ალმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად დააკისრებს პირგასამტეხლოს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

5.3 დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.4 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევაში ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა გამყიდველის მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად. ასეთ შემთხვევაში პრივატიზებული ქონება უბრუნდება პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოს. სახელმწიფო ქონების შემძენს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

5.5 მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც ცდება გამყიდველის ან მყიდველის კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით, (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა საშინელი, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, ავანყებით, მიწისძვრებით, ხვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ მხარის კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ მხარეს არ შეეძლო.

6.2 მხარე, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს სხვნებული გარემოების და მოვლენის როგორც დადგომის, ასევე შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 72 საათისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარე კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნული მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ხელვადენა ამ მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ვალისაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

6.3 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში, მხარეების მიერ ხელშეკრულებით ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული

გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.4 ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

6.5 ფორს-მაჟორული გარემოებების 1 თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 7. შეტყობინებები

7.1 ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით ქართულ ენაზე და გადაცემული უნდა იქნეს პირადად, ფაქსის, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.1 პუნქტის მიზნებისათვის მხარეთა რეკვიზიტებია:

7.2.1 **გამყიდველის შემთხვევაში:**
მიმღები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;
ტელ: 995 32 2991105; 991111
ფაქსი: 995 32 2921534

7.2.2 **მყიდველის შემთხვევაში:**
მიმღები: ა(ა)იპ "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი"
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, დაღმაშენებლის ხეივანი №-13 კ/ნ
ტელ: 995 32 2 59 49 08
ფაქსი:

7.3 მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს მის საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამყიდველის მიერ მყიდველის ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის წერილობითი გაფრთხილება ჩაითვლება სათანადოდ;

მუხლი 8. მარეგულირებელი კანონმდებლობა, დავების გადაწყვეტა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში საკითხი წყდება მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

მუხლი 9. სხვა დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებისა ან დამატების განხორციელება დასაშვებია მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება როგორც ცალკე ხელშეკრულება და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

9.2 ხელშეკრულების ყველა ცვლილება/დამატება ან/და დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9.3 საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.4 ამ ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების გაუქმება ან/და ბათილობა არ იწვევს ხელშეკრულების სხვა პუნქტების გაუქმებას ან/და ბათილობას.

9.5 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

9.6 სათაურები წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულია მითითების გაადვილების მიზნით და არ იქონიებს ზემოქმედებას რაიმე სახით მოცემული პირობების ინტერპრეტაციაზე.

9.7 წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 5 (ხუთი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს".

9.8 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციის მომენტიდან

გამყიდველი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
წარმომადგენელი

იზოლდა მარსაგიშვილი

მყიდველი

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
წარმომადგენელი

ლაშა გოცირიძე

დანართი 2.

ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს" შორის 2012 წლის 24 თებერვალს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო

ქ. თბილისი,

19 ოქტომბერი, 2012 წელი

ერთი მხრივ, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" (შემდგომში "გამყიდველი"), წარმოდგენილი იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს შტატგარეშე მომუშავის სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, მოქმედი სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2012 წლის 5 ოქტომბრის №4/918 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, ა(ა)იპ "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი" (ს/კ№211325653) წარმოდგენილი რექტორის, ლაშა გოცირიძის (პირადი №01024009776) მიერ (შემდგომში, "მყიდველი"),

ერთად წოდებული, როგორც "მხარეები",

ვხელმძღვანელობთ რა, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შპს "აგრომეტის" 100%-იანი წილის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 15 თებერვლის №15/02/03 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2012 წლის 12 ოქტომბრის №12/10/08 განკარგულებითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს" შორის 2012 წლის 24 თებერვალს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ "საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს" შორის 2012 წლის 24 თებერვალს დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში (შემდგომში, "ხელშეკრულება") შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2.1 მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საპრივატიზებო შემოსულობა 4 150 000 (ოთხი მილიონ ას ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ოდენობით, წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვის განმავლობაში.
2.2 საპრივატიზებო შემოსულობის გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, თანხის "გამყიდველის" მიერ მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:
სალარე ანგარიში:
ანგარიშის დასახელება (მიმღები): სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
ანგარიშის ნომერი: GE50BG0000000655067100
მიმღები ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3.1.3 განახორციელოს შპს "აგრომეტის" საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე მდებარე 599438კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.72.14.006.538) 8 000 0000 (რვა მილიონი) ლარის ინვესტიცია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 22 თვის განმავლობაში".

გ) ამოღებულ იქნას მესამე მუხლის პირველი პუნქტის მე-4 და მე-5 ქვეპუნქტები.

დ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მე-7 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"3.1.7 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.2 და/ან 3.1.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების დადასტურების მიზნით, "გამყიდველს" წარუდგინოს "საწარმოებისათვის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების განხახორციელებელ ან/და საექსპერტო და აუდიტორული დასკვნების გამცემ პირთა და სახელმწიფო საწარმოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 05 სექტემბრის №360 დადგენილებით განსაზღვრული საექსპერტო ან/და ერთ-ერთი აუდიტორული კომპანიის მიერ მომზადებული საექსპერტო ან/და აუდიტორული დასკვნა შესრულების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა".

ე) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"5.2.2 წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.3 მუხლით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, "გამყიდველი" "მყიდველს" გაუგზავნის დარღვევის ხასიათის აღმწერ წერილობით შეტყობინებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და იმავდროულად, დააკისრებს პირგასამტეხლოს დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1%-ის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე".

ე) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"7.2.1 "გამყიდველის" შემთხვევაში:
მიმღები: სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
მისამართი: ჭანტურიას ქ. №12, თბილისი, საქართველო;
ტელ: 995 32 2991072; 2991111.

მუხლი 2.

2.1 ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2 ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები მიიჩნევა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.

მუხლი 3.

3.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

გამყიდველი
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

წარმომადგენელი:

სალომე მესხია

მყიდველი
ა(ა)იპ "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი"

წარმომადგენელი:

ლაშა [illegible]

შპს აგრომეტი

15 ოქტომბერი, 2018 წელი

ქალაქ თბილისის მერიის

სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ შპს აგრომეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდიც არის: 01.72.14.006.768, შპს საგურამოს საფეხბურთო კომპლექსის და შპს აგრომეტის ერთობლივი პროექტის თანახმად, იგეგმება საფეხბურთო მოედნის (ზომით 60/40) მშენებლობა (პირველი კლასი). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საფეხბურთო მოედნის მშენებლობა იგეგმება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს თავისუფალი უნივერსიტეტის და თავისუფალი სკოლის მიმდებარედ, რაც მნიშვნელოვანი პროექტია, როგორც სტუდენტების ფიზიკური ვარჯიშისთვის ასევე სკოლის მოსწავლეების ფიზიკურ მომზადებისთვის და მათი მომავალი საფეხურთო კარიერისთვის. ამასთან, მოედანი შეძლებს 300-400 მდე მოსწავლის და 200 – 300 მდე სტუდენტის ვარჯიშს.

წარმოგიდგენთ თქვენი 2018 წლის 12 ოქტომბრის გადაწყვეტილება N4216156 -ით მოთხოვნილ ინფორმაციას (განცხადების ნომერი: AR1636420):

1. **ტოპოგრაფიულ გეგმაზე და საილუსტრაციო სურათებზე ხეების მოჭრის თაობაზე ინფორმაცია:** ტერიტორიაზე, სადაც იგეგმება ზემოაღნიშნული მოედნის მშენებლობა, არის 3 ძირი ხე-მცენარე, რომლიც ხელს უშლის პროექტის განხორციელებას. აღნიშნულისთვის მივმართეთ (იხ. დანართი 1.) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურს რომელიც, გამომდინარე იქიდან რომ ტერიტორიაზე არ ირღვევა არსებული ეკოლოგიური წონასწორობა და მწვანე ნარგავების ხარისხობრივი მდგომარეობა (71 ძირი ხე-მცენარეა), მერიის გარემოს დაცვის სამსახური არ არის წინააღმდეგი მოხდეს ტერიტორიაზე არსებული 2 ხის მოჭრა, კერძოდ: 1 ძირი წაბლფოთოლა მუხა და ერთი ძირი იტალიური ფიჭვი და ერთი ძირი თუთაბოს გარადგვა. ამასთან, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ მოწერილი წერილის თანახმად, შპს აგრომეტმა დამატებით უნდა განახორციელოს შემდეგი ქმედებები (იხ. დანართი 2.):
   1.1 ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის გადახდილ უნდა იქნაას 2500 ლარი (აღნიშნული უკვე გადახდილია შპს აგრომეტის მიერ. იხ. დანართი 3.) და

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/ნ 404893727
დავით აღმაშენებლის ხეივანი №240, თბილისი, საქართველო
ტელ: +99577 222446

1.1 ტერიტორიაზე უნდა დარგას დარგას 12 ერთეული მწვანე ნარგავი, მათ შორის 4 ერთეული წაბლფოთოლა მუხა, 4 ერთეული ჰიმალაის კედარი და 4 ერთეული იტალიური ფიჭვი. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად წარმოგიდგენთ შპს აგრომეტს და შპს "თბილისი, ანანო და გიორგის" შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას (იხ. დანართი 4.) აღნიშნული ხეების მოწოდებასთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე და საილუსტრაციო სურათზე სამივე ხესთან დაკავშირებულ ინფორმაციას (იხ. დანართი 5.).

2. **ინფორმაცია საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებულები ვალდებულებების შესახებ:**

გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს შორის 2012 წლის 24 თებერვალს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულების, რომლის მე-3 მუხლის 3.1.2 ქვეპუნქტით თანახმად ა(ა)იპ "საქართველოს აგრარული უნივერსიტეტმა" ხელშეკრულების გაფორმებიდან 96 თვის განმავლობაში, შპს "აგრომეტის" საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის მე-12 კმ-ზე მდებარე 599,438 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.72.14.006.538 (აღნიშნული საკადასტრო კოდი ამ ეტაპისთვის დაყოფილია 6 საკადასტრო კოდად ფართის უცვლელად), **უნდა გამოიყენოს ძირითადად სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულებით.**

ამასთან, გაცნობებთ, რომ აღნიშული ქონება დღემდე გამოიყენაბა სასწავლო სამეცნიერო დანიშნულებით, რაც ასევე დასტურდება ყოველწლიური აუდიტორული დასკვნებით და ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს მიერ შუალედური შესრულების დადასტურებით.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ შპს აგრომეტის მიერ თქვენთვის წარმოდგენილი პროექტის განხორციელება არ საჭიროების სხვა პირის/ორგანოს თანხმობას.

3. **საფეხბურთო მოედნის გეგმა და საკადასტრო გეგმა - გაცნობებთ, რომ ფოტომონტაჟის ველში დამატებით აიტვირთა საფეხბურთო მოედნის გეგმა და საკადასტრო გეგმა, სადაც აისახა საპროექტო ადგილის არეალი.**

მოგმართავთ თხოვნით, რათა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განიხილოთ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი, ვინაიდან როგორც მოგეხსენებათ სწავლის

პროცესი უკვე მიმდინარეობს და საფეხბურთო მოედნის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეებისთვის და სტუდენტებისთვის.

თამთა ოტიაშვილი



დირექტორი

შპს აგრომეტი

დანართი 1.

21 აგვისტო, 2018 წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსს

ბატონ გიგა გიგაშვილს

ბატონო გიგა,

გაცნობებთ, რომ შპს აგრომეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდიც არის: 01.72.14.006.768, შპს საგურამოს საფეხბურთო კომპლექსის და შპს აგრომეტის ერთობლივი პროექტის თანახმად, იგეგმება საფეხბურთო მოედნის (ზომით 60/40) მშენებლობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საფეხბურთო მოედნის მშენებლობა იგეგმება თავისუფალი სკოლის მიმდებარედ, რაც მნიშვნელოვანია სკოლის მოსწავლეების ფიზიკურ მომზადებისთვის და მათი მომავალი საფეხურთო კარიერისთვის. ამასთან, მოედანი შეძლებს 300-400 მდე ბავშვის ვარჯიშს.

საფეხბურთო მოედნისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე არის 3 ერთეული მწვანე ნარგავი, რომელიც ხელს უშლის პროექტის განხორციელებას. შპს აგრომეტი გამოთქვამს მზადყოფნას, აღნიშნული მწვანე ნარგავების მოჭრისთვის გადაიხადოს 3204 ლარის საკომპენსაციო ღირებულება და ასევე, შპს აგრომეტის კუთვნილ ტერიტორიაზე დარგას 12 ერთეული მწვანე ნარგავი, მათ შორის 4 ერთეული წაბლფოთოლა მუხა, 4 ერთეული ჰიმალაის კედარი და 4 ერთეული იტალიური ფიჭვი. შპს აგრომეტი ასევე იღებს პასუხისმგებლობას აღნიშნული ხეების მოვლა-პატრონობაზე.

გთხოვთ, თანდართული დოკუმენტაციის საფუძველზე მოგვცეთ, დანართი 1-ზე განსაზღვრული N11, N12 და N13 მწვანე ნარგავის მოჭრის უფლება.

თამთა ოტიაშვილი

დირექტორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/ნ 404893727
დავით აღმაშენებლის ხეივანი №240, თბილისი, საქართველო
ტელ: +99577 222446

დანართი 2.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 18-011823426OO
თარიღი: 22/08/2018
პინი: 6484

ადრესატი: შპს აგრომეტი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404893727
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №240

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსხურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური") განიხილა, თქვენი 2018 წლის 21 აგვისტოს #10011823317I5-18 განცხადება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ექსპერტების, მარინე ხუნწარიასა და ქეთევან თავართქილაძის 2018 წლის 21 ივნისის #02-22/212 საექსპერტო დასკვნა), რომლითაც ითხოვთ შპს „აგრომეტი"-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი #240 ს.კ. 01.72.14.006.768) მშენებლობის (ღია სათამაშო და სპორტული მოედანი) განხორციელების მიზნით ხე მცენარეების მოჭრა-გადარგვის ნებართვას.

გაცნობებთ, რომ „ქ.თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი") და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება") მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებენ მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან თქვენს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი ხე-მცენარე ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და ვინაიდან ტერიტორიაზე ფიქსირდება 71 ძირი ხე მცენარე და აღნიშნული 2 ძირი ხე-მცენარის მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა და დადგენილებით განსაზღვრული 25%-იანი ზღვარი (მოიჭრება ჯანსაღი მწვანე ნარგავების 2.8%), ასევე ტერიტორიაზე შენარჩუნდება მწვანე ნარგავების ხარისხობრივი მდგომარეობა, სამსახური თანახმაა გასცეს 1 ძირი წაბლფოთოლა მუხისა (#11 დიამეტრი 74სმ) და 1 ძირი იტალიური ფიჭვის (#13 დიამეტრით 80სმ) მოჭრის ნებართვა. მას შემდეგ რაც წარმოადგენთ საკომპენსაციო რგვის ფარგლებში დასარგავი (თქვენი ინიციატივით შემოთავაზებული) ხე-მცენარეების ნასყიდობის ხელშეკრულებას (ნერგის სიმაღლე უნდა იყოს ფოთლოვანის შემთხვევაში არანაკლებ 3.5მ, ხოლო წიწვოვანის შემთხვევაში- არანაკლებ 3.0 მ; ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ 14 სანტიმეტრი). სათანადო წესით გაცემულ წერილობით თანხმობას/მშენებლობის ნებართვას და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარს (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი ##300773292 ბანკის კოდი - TRESGE22).

ნებართვის მიმღები ვალდებულია ჭრის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურსა და გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების ჭრა ჩაითვლება უკანონოდ.

დადგენილების მე-2 თავის 21-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არსებული 1 ძირი თუთუბო (#12 დიამეტრით 43 სმ) ხელს უშლის პროექტის განხორციელებას,

ისი სიდიდისა და მდგომარეობის გათვალისწინებით ნარგავი იძლევა გადარგვის შემდგომ გახარების შესაძლებლობას. ასევე მწვანე ნარგავის გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, სამსახური თანახმაა გასცეს მისი გადარგვის ნებართვა მას შემდეგ, რაც წარმოადგენთ სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის ნებართვას/წერილობით თანხმობას და წერილობით დასტურს იმ ფიზიკური/იურიდიული პირიდან ვინც განახორციელებს გადარგვას.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის განევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არაუნაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ უნდა წარმოადგინოთ გადარგული ხე-მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა. დამატებით გაცნობებთ, რომ გადარგული მწვანე ნარგავის 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში დაგეკისრებათ ბიოშრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

ნინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 11247

თარიღი: 2018 წლის 01 10, ორშაბათი

გადამხდელის დასახელება:	შპს აგრომეტი	ანგარიში (დებეტი):	GE63LB0113194345690000
გადამხდელის ბანკი:	სს "ლიბერთი ბანკი"	ბანკის კოდი:	LBRTGE22
გადასახადის გადამხდელის დასახელება:	შპს "აგრომეტი"		
საიდენტიფიკაციო კოდი:	404893727	საბიუჯეტო მემოსავლის კოდი:	300773292 თბილისი - მემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან
მიმღების დასახელება:	ერთიანი სახაზინო კოდი		
საიდენტიფიკაციო კოდი:		ანგარიში (კრედიტი):	300773292
მიმღების ბანკი:	სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი:	TRESGE22
გადახდის დანიშნულება:	ბიომრავლფეროვნებაზე მიყენებული ზიანის აღდგენითი ღირებულება. წერილის ნომერი 18-01182342600. 22/08/2018		

ხელმოწერა: _____

_____

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

GEL

GEL

2500.00

თანხა სიტყვიერად

ორი ათას ხუთას ნული GEL და 00

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 01.10.2018

ხელმოწერა: _____

დანართი 3.

დანართი 4.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი 9 ოქტომბერი, 2018 წელი

ერთის მხრივ, შპს "აგრომეტი" (ს/კ 404893727) წარმოდგენილი მისი დირექტორი თამთა ოტიაშვილის მიერ, შემდგომში წოდებული როგორც „დამკვეთი" და მეორეს მხრივ შპს „თბილისი ანანო და გიორგი" (ს/კ 205292903), წარმოდგენილი მისი დირექტორი დავით კუჭავას მიერ, შემდგომში წოდებული როგორც „შემსრულებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგომში:

1. ხელშეკრულების საგანი:

„დამკვეთი" უკვეთავს ხოლო „შემსრულებელი" უხრუნველყოფს „დამკვეთის" მიერ მითითებულ მისამართზე ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი #240 (საკადასტრო კოდი 01.72.14.006.768) მითითებული 2 ძირი ხის მოჭრა დამუშავება-გატანის მომსახურეობას, 4 ერთეული წაბლფოთოლა მუხის, რომლის სიმაღლეც არის 3,5 მ; 4 ერთეული ჰიმალაის კედარი, რომლიც სიმაღლეც არის 3 მ და 4 ერთეული იტალიური ფიჭვი, რომლიც სიმაღლეც არის 3 მ. მიწოდება და დარგვის მომსახურება და ასევე 1 ძირი გადასარგავი ხის სხვლა ფორმირება და გადარგვის მომსახურეობა და ასევე ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოების განსახორციელებელი სპეც ტექნიკის მობილიზება.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორების ფორმები:

2.1 დაკვეთის მთლიანი ღირებულება შეადგენს 12850.00 (თორმეტიათასრვაასოთხმოცდათი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.
2.2.ღირებულების ანაზრაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით - დამკვეთის მიერ შემსრულებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის გზით.
2.3. „დამკვეთი" „შემსრულებელს" უხდის შესრულებული სამუშაოს მთლიან ღირებულებას. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" მოხდება სამუშაოს დასრულებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.
2.4. მოცემული ხელშეკრულება ძალაში შედის ორმხრივი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეებს შორის საბოლოო ვალდებულების შესრულებამდე.

4. მხარეთა ვალდებულებანი

4.1. „დამკვეთს" უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა, „შემსრულებლის" მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
4.2. „შემსრულებელი" ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.
4.3. „დამკვეთი" უკვეთავს, ხოლო „შემსრულებელი" ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებითა და ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევისას ორივე მხარე იღებს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს–მაჟორი

6.1. მხარეთა პასუხისმგებლობა იხსნება მთლიანად ან ნაწილობრივ თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზი გამოწვეულია ფორს–მაჟორული სიტუაციებით.
6.2. ფორს –მაჟორულ სიტუაციაში იგულისხმება ისეთი ვითარება, რომელთა წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. მაგ: სტიქიური უბედურება, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, საომარი და სამხედრო ვითარება და სხვა.
6.3. ვალდებულების შეუსრულების შემთხვევაში, მხარეები დაუყოვნებლივ ატყობინებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულების მიზეზს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

7.1.ორივე მხარე ვალდებულია წამოჭრილი დავა გადაწყვიტონ ერთობლივად, მოლაპარაკების საფუძველზე.
7.2. დავები, რომელთა გადაწყვეტა ვერ ხერხდება მოლაპარაკების გზით, ექვემდებარება განხილვას სასამართლოს წესით, მოქმედი კანონის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებანი

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლიარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
8.2. ყველა ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში ხორციელდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

„დამკვეთი“
შპს "აგრომეტი"
ქ. თბილისის დ. აღმაშენებლის ხეივანი #240
ს.კ. 404893727

დირექტორი

თამთა ოტიაშვილი

„შემსრულებელი“
შ.პ.ს. „თბილისი ანანო და გიორგი“
მის: კეკელიძის ქ. №25, კორპ. 6, ბინა 35.
ს/კ: 205292903
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
საბანკო კოდი: BAGAGE22
ა/ა GE49BG0000000255505300

დირექტორი

დავით კუპავა

ტოპო გეგმა მ 1:500

გადასარგველი ხე

მოსაჭრელი ხეები

ხე N 12

ხე N 11

ხე N 13

